



2026 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის 3 თვის  
შესრულების  
**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2026**  
მაისი

# სარჩევი

<b>ძირითადი მარჯვენალები</b> .....	3
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა</b> .....	4
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები</b> .....	6
შემოსავლები .....	8
არაფინანსური აქტივების კლება.....	13
ფინანსური აქტივების კლება.....	14
ვალდებულებების ზრდა.....	14
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები</b> .....	16
ხარჯები .....	19
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	24
ფინანსური აქტივების ზრდა.....	25
ვალდებულებების კლება.....	25
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	26
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით .....	28
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები .....	33
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო</b> .....	36
ნაშთის ცვლილება .....	36
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო .....	37
<b>გამოყენებული მონაცემების წყარო:</b> .....	37
<b>დანართები</b> .....	38
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი) .....	38
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).....	39
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი) .....	40

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 7,804.9 მლნ ლარი

100.6%  
3 თვის  
გეგმის

25.4%  
წლიური  
გეგმის

გადასახდელები - 7,238.2 მლნ ლარი

91.6%  
3 თვის  
გეგმის



23.4%  
წლიური  
გეგმის

ნაშთის ცვლილება  
566.7 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
690.7 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
231.9 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა



## ხარჯების სტრუქტურა




# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა


„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,759.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობები 7,804.9 მლნ ლარს (წლიური გეგმის 25.4%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,153.8 მლნ ლარით (17.3%-ით) აღემატება.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 30,881.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის იანვარ-მარტში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 7,238.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 23.4%) შეადგენს, რაც 2025 წლის 3 თვის მაჩვენებელზე 844.3 მლნ ლარით (13.2%-ით) მეტია.

დიაგრამა 1. შემოსულობების 3 თვის შესრულება წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



დიაგრამა 2. გადასახდელების 3 თვის შესრულება წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა<sup>[1]</sup> განსაზღვრულია 7,757.1 მლნ ლარით, ხოლო 3 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 100.6%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებისა (95.4%), გადაჭარბებით ხასიათდება: შემოსავლები 101.6%-ს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 63.9%-იანი და 15.8%-იანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა 7,903.2 მლნ ლარს შეადგენს, 3 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 91.6%-ს უტოლდება. რაც შეეხება გადასახდელების კომპონენტებს, ხარჯები 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 92.6%-ს შეადგენს. 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების მიმართ კარგი შესრულების დონით ხასიათდება ვალდებულებების კლების კომპონენტი (97.8%), ხოლო შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების ზრდის (შესაბამისად, 74.7% და 74.2%) და ფინანსური აქტივების ზრდის (შესაბამისად, 53.9% და 57.5%) კომპონენტები.

[1] „საქართველოს 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 31 დეკემბრის N358 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება. იანვარ-მარტში განხორციელებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, მოხდა მხოლოდ გადასახდელების მუხლების 3 თვის გეგმების დაზუსტება, შესაბამისად, მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია გადასახდელების როგორც დამტკიცებული, ასევე, დაზუსტებული 3 თვის გეგმები.


ცხრილი 1. 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები, კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %)

დასახელება	2026 წლის გეგმა	3 თვის დამტ. გეგმა	3 თვის დაზუსტ. გეგმა	3 თვის ფაქტი	3 თვის დამტ. გეგმის შესრულების %	3 თვის დაზუსტ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>შემოსულობები</b>	<b>30,759.4</b>	<b>7,757.1</b>	<b>7,757.1</b>	<b>7,804.9</b>	<b>100.6%</b>	<b>100.6%</b>	<b>25.4%</b>
შემოსავლები	24,996.3	5,889.3	5,889.3	5,982.9	101.6%	101.6%	23.9%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	40.0	40.0	65.6	163.9%	163.9%	32.8%
ფინანსური აქტივების კლება	500.0	65.0	65.0	75.3	115.8%	115.8%	15.1%
ვალდებულებების ზრდა	5,063.1	1,762.7	1,762.7	1,681.2	95.4%	95.4%	33.2%
<b>გადასახდელები</b>	<b>30,881.4</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,238.2</b>	<b>91.6%</b>	<b>91.6%</b>	<b>23.4%</b>
ხარჯები	23,267.6	5,712.4	5,713.0	5,292.2	92.6%	92.6%	22.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,044.0	702.3	706.7	524.4	74.7%	74.2%	13.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	650.0	78.7	73.7	42.4	53.9%	57.5%	6.5%
ვალდებულებების კლება	2,919.8	1,409.8	1,409.8	1,379.2	97.8%	97.8%	47.2%
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-122.0</b>	<b>-146.2</b>	<b>-146.2</b>	<b>566.7</b>			

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 3 თვეში 690.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 231.9 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022-2026 წლების 3 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,465.7 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 566.7 მლნ ლარი შეადგინა და შესაბამისად, 2026 წლის 1-ელი აპრილისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,032.4 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

დიაგრამა 3. საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2022-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)




რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა, დარიცხვის მეთოდით, 35,987.8 მლნ ლარს გაუტოლდა (მ.შ. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი - 24,105.5 მლნ ლარს შეადგენს, მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი - 11,882.3 მლნ ლარს).

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 30,759.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის 3 თვეში შემოსულობებმა 7,804.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 25.4%-ს და 3 თვის გეგმის (7,757.1 მლნ ლარი) 100.6%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 1,153.8 მლნ ლარით (17.3%-ით) აღემატება.

ნომინალურ გამოხატულებაში, 2017-2026 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის ფაქტობრივი მარჯვენებლები (გარდა 2019 წლის ანალოგიური მარჯვენებლისა) ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 3 თვის შემოსულობების წილობრივი მარჯვენებელი წლიურ ფაქტობრივ მოცულობაში, 2017-2025 წლებში, 20.7%-სა და 24.5%-ს შორის მერყეობს, 2026 წელს კი, 3 თვეში მიღებული შემოსულობები წლიური საგეგმო მარჯვენებლის 25.4%-ს შეადგენს.

დიაგრამა 4. 2017-2026 წლების 3 თვის შემოსულობები და მათი წილი წლიურ მარჯვენებლებში, (მლნ ლარი, %)




რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას შემოსულობების კომპონენტების მიხედვით, ყველა კომპონენტი, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების გარდა (რომლის გეგმის შესრულების მარჯვენებელი 95.4%-ია), გადაჭარბებით ხასიათდება - შემოსავლები 3 თვის გეგმის 101.6%-ს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 63.9%-იანი და 15.8%-იანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

ცხრილი 2. 2025-2026 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობები (მლნ ლარი, %).


	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>შემოსულობები</b>	<b>6,651.1</b>	<b>30,759.4</b>	<b>7,757.1</b>	<b>7,804.9</b>	<b>100.6%</b>	<b>25.4%</b>	<b>17.3%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>5,700.4</b>	<b>24,996.3</b>	<b>5,889.3</b>	<b>5,982.9</b>	<b>101.6%</b>	<b>23.9%</b>	<b>5.0%</b>
გადასახადები	5,428.5	23,200.0	5,567.0	5,593.6	100.5%	24.1%	3.0%
გრანტები	59.4	346.3	112.4	114.6	101.9%	33.1%	92.8%
სხვა შემოსავლები	212.5	1,450.0	209.9	274.7	130.9%	18.9%	29.3%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>70.6</b>	<b>200.0</b>	<b>40.0</b>	<b>65.6</b>	<b>163.9%</b>	<b>32.8%</b>	<b>-7.2%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>144.4</b>	<b>500.0</b>	<b>65.0</b>	<b>75.3</b>	<b>115.8%</b>	<b>15.1%</b>	<b>-47.9%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>735.7</b>	<b>5,063.1</b>	<b>1,762.7</b>	<b>1,681.2</b>	<b>95.4%</b>	<b>33.2%</b>	<b>128.5%</b>
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	210.6	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,470.5	96.0%	45.1%	1097.5%

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემოსულობების ჯამური მარჯვენებელი 1,153.8 მლნ ლარით, 17.3%-ით არის გაზრდილი, რასაც შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატება განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ 2018-2026 წლების საანგარიშო პერიოდში, ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი (48.1%) გაცილებით მაღალია (პანდემიის წლებში საგარეო წყაროდან მოზიდული სახსრების ზრდის გავლენით) შემოსავლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (11.0%) შედარებით. 2022-2023 წლებში, ვალდებულებების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, შემცირებით ხასიათდება, თუმცა 2024-2025 წლებში ისევ იმატებს (საშინაო წყაროდან მოზიდული სახსრების ზრდის გავლენით), 2026 წელს კი ზრდა 128.5%-ს აღწევს (2021 წელს გამოშვებული ევრობოლიგაციების რეფინანსირებისთვის ვალდებულებების ზრდის გავლენით), რაც შესაბამისად აისახება შემოსულობების სტრუქტურაზე: 2026 წლის 3 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში 85.7%-დან 76.7%-მდე შემცირებულია, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების წილი 11.1%-დან 21.5%-მდე გაზრდილია. წინა წლების მსგავსად, 2026 წლის 3 თვეში, მთლიან შემოსულობებში, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.8%-ს შეადგენს (ეს მაჩვენებელი 2017- 2026 წლების 3 თვეში საშუალოდ 1.9%-ს უტოლდება).




ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2017-2026 წლების 3 თვეში, შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.



რაც შეეხება 2024-2026 წლებში მიღებული შემოსულობების მიმოხილვას თვეების მიხედვით, 2026 წლის 3 თვის შემოსულობების საშუალო მაჩვენებელი აღემატება, როგორც 2025 წლის, ასევე, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ: 2024-2025 წლებში, იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი, შესაბამისად, 2,105.4 მლნ ლარს და 2,217.0 მლნ ლარს შეადგენს, 2026 წლის 3 თვეში კი საშუალოდ 2,601.6 მლნ ლარია მიღებული, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე - 23.6%-ით (496.2 მლნ ლარით), ხოლო 2025 წლის მაჩვენებელზე 17.3%-ით (384.6 მლნ ლარით) მეტი.

დიაგრამა 7. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2024-2026 წლებში, თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



## შემოსავლები

შემოსავლების სახით, 2026 წლის 3 თვეში, ბიუჯეტში 5,982.9 მლნ ლარი ჩაირიცხა, 3 თვის გეგმის (5,889.3 მლნ ლარი) 101.6% და წლიური გეგმის (24,996.3 მლნ ლარი) 23.9%, რაც წინა წლის მაჩვენებელს 282.5 მლნ ლარით (5.0%-ით) აღემატება. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, სამივე კომპონენტი (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გადაჭარბებით ხასიათდება, თუმცა სხვა შემოსავლები მნიშვნელოვანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

დიაგრამა 8. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



საგადასახადო შემოსავლების სახით (რომელიც შემოსავლების 93.5%-ს შეადგენს), 3 თვეში მოხილვადია 5,593.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის (5,567.0 მლნ ლარი) 100.5% და წლიური გეგმის (23,200.0 მლნ ლარი) 24.1%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 165.1 მლნ ლარით (3.0%-ით) აღემატება.

ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2025-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი, %).


	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>გადასახადები</b>	<b>5,428.5</b>	<b>23,200.0</b>	<b>5,567.0</b>	<b>5,593.6</b>	<b>100.5%</b>	<b>24.1%</b>	<b>3.0%</b>
საშემოსავლო გადასახადი	1,873.5	8,221.0	2,030.0	2,118.3	104.4%	25.8%	13.1%
მოგების გადასახადი	820.9	3,200.0	945.0	1,007.1	106.6%	31.5%	22.7%
დღგ	1,872.8	8,744.0	2,020.0	2,061.3	102.0%	23.6%	10.1%
აქციზი	490.5	2,700.0	520.0	560.0	107.7%	20.7%	14.2%
იმპორტის გადასახადი	31.3	150.0	32.0	37.7	117.9%	25.1%	20.4%
სხვა გადასახადები	339.5	185.0	20.0	-190.9	-954.3%	-103.2%	-156.2%

ყველა სახის გადასახადი, 3 თვის გეგმის მიმართ, გადაჭარბებით ხასიათდება და 102.0% - 117.9%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. საშემოსავლო და მოგების გადასახადები გეგმის მაჩვენებლებზე ყველაზე დიდი, შესაბამისად, 88.3 მლნ ლარიანი და 62.1 მლნ ლარიანი გადაჭარბებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვეში მისი საგეგმო მოცულობა 20.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი -190.9 მლნ ლარს შეადგენს<sup>[2]</sup>.

2025 წლის 3 თვის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 165.1 მლნ ლარით (3.0%-ით) გაზრდილია, რაც საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების (შესაბამისად, 13.1%-ით, 22.7%-ით და 10.1%-ით) მატებას უკავშირდება.

2025 წელთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 189.9 მლნ ლარით (12.0%-ით) ზრდას უკავშირდება. დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში 2,061.3 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 188.6 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 97.5 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან 91.1 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, აქციზი 14.2%-ით (69.5 მლნ ლარით) გაზრდილია, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის მნიშვნელოვანი, 63.6 მლნ ლარით მატების გავლენით (მ.შ. იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს დაბეგვრიდან შემოსავალი, შესაბამისად, 16.8 მლნ ლარით, 21.3 მლნ ლარით და 15.0 მლნ ლარით არის მომატებული).


დიაგრამა 9. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების მიმოხილვას თვეების მიხედვით, 2026 წლის 3 თვეში, გადასახადების მობილიზების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი 1,864.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2025 წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მაჩვენებელზე 55.0 მლნ ლარით (3.0%-ით) მეტია, ხოლო 2025 წლის საშუალო წლიურ მონაცემს 34.7 მლნ ლარით (1.9%-ით) აღემატება. 2026 წლის 3 თვეში საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარტში დაფიქსირდა და 2,066.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც თებერვლის მაჩვენებელს 419.8 მლნ ლარით, ხოლო იანვრის მაჩვენებელს - 186.1 მლნ ლარით აღემატება. მიმდინარე წლის მარტში მიღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, წინა წლის მარტის მაჩვენებელთან შედარებით, 103.9 მლნ ლარით გაზრდილია, ერთი მხრივ, ყველა სახის გადასახადის (338.8 მლნ ლარით) მატებისა და მეორე მხრივ, სხვა გადასახადების (234.9 მლნ ლარით) კლების გავლენით.


[2] 2016 წელს სახაზინო კოდეხის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სხვა გადასახადის\* მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ, ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი, კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში, შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სიდიდე.

დიაგრამა 10. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2025-2026 წლებში, თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა, განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. 2026 წლის 3 თვეში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 6,329.2 მლნ ლარი შეადგინა<sup>[3]</sup>, რაც 3 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (6,269.9 მლნ ლარი) 100.9%-ს და წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (27,040.0 მლნ ლარი) 23.4%-ს შეადგენს. 2017-2026 წლების 3 თვეში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2021 წლისა), 2018-2025 წლებში საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 13.1%-ს შეადგენს, 2026 წლის მაჩვენებელი კი 2025 წლის მონაცემს 4.1%-ით (251.9 მლნ ლარით) აღემატება.

დიაგრამა 11. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)




• გრანტების მოცულობა, იანვარ-მარტში, 114.6 მლნ ლარია, რაც 3 თვის გეგმის 101.9%-ს და წლიური გეგმის 33.1%-ს შეადგენს. აღნიშნული გადაჭარბება ძირითადად, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებს უკავშირდება, რომლის სახით, 3 თვეში, 8.9 მლნ ლარია მიღებული. გარდა ამისა, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით, ბიუჯეტში 99.2 მლნ ლარი ჩაირიცხა (3 თვის გეგმის 99.2%), ხოლო საინვესტიციო გრანტებმა 6.6 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 53.1%).

2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გრანტების მოცულობა 55.2 მლნ ლარით (92.8%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი, 172.9%-ანი (62.8 მლნ ლარით) მატებისა და მეორე მხრივ, დანარჩენი გრანტების (ძირითადად, მიზნობრივი გრანტების) შემცირების გავლენით.

[3] საანგარიშო პერიოდში, ზედმეტად გადახდილი გადასახადების (დღგ) დაბრუნების მაჩვენებელმა 634.0 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 12. გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



- სხვა შემოსავლები, 2026 წლის 3 თვეში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 274.7 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 130.9%-ს (წლიური გეგმის 18.9%) შეადგენს.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2025-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი, %),

	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>212.5</b>	<b>1,450.0</b>	<b>209.9</b>	<b>274.7</b>	<b>130.9%</b>	<b>18.9%</b>	<b>29.3%</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>78.3</b>	<b>800.0</b>	<b>71.5</b>	<b>89.9</b>	<b>125.7%</b>	<b>11.2%</b>	<b>14.8%</b>
პროცენტები	71.5	320.0	64.0	63.3	98.9%	19.8%	-11.5%
დივიდენდები	0.0	450.0	0.0	0.0		0.0%	
<i>სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან</i>	0.0	0.0	0.0	0.0		0.0%	
<i>ეროვნული ბანკის მოგებიდან</i>	0.0	450.0	0.0	0.0		0.0%	
რენტა	6.8	30.0	7.5	26.6	355.1%	88.8%	292.6%
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>32.8</b>	<b>135.0</b>	<b>32.4</b>	<b>21.5</b>	<b>66.4%</b>	<b>15.9%</b>	<b>-34.5%</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	32.0	130.5	31.6	20.6	65.3%	15.8%	-35.5%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.8	4.5	0.8	0.9	109.3%	19.4%	6.9%
<b>ჭარბები, სანქციები და საურავები</b>	<b>30.0</b>	<b>200.0</b>	<b>35.0</b>	<b>62.5</b>	<b>178.7%</b>	<b>31.3%</b>	<b>108.4%</b>
<b>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>71.3</b>	<b>315.0</b>	<b>71.0</b>	<b>100.7</b>	<b>141.9%</b>	<b>32.0%</b>	<b>41.3%</b>

3 თვის გეგმასთან მიმართებით, აღნიშნული 30.9%-იანი დადებითი გადახრა არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან, ჭარბებიდან (სანქციები, საურავები), აგრეთვე, საკუთრებიდან შემოსავლების გადაჭარბებით მიღებას უკავშირდება.

კერძოდ: არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 36.7%), ბიუჯეტში შემოსულია 100.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 141.9% და წლიური გეგმის 32.0%. მათ შორის, გზათსარგებლობის საფასურიდან შემოსავლები 38.7 მლნ ლარს შეადგენს, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 11.2 მლნ ლარს (2025 წელს 0.7 მლნ ლარს შეადგენდა), ხოლო წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 22.0 მლნ ლარს.


სანქციებიდან (ჯარიმები, საურავები) შემოსავალმა 62.5 მლნ ლარს მიაღწია, რაც 3 თვის გეგმის 178.7%-ს და წლიური გეგმის 31.3%-ს შეადგენს. აქედან, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სანქციებიდან 31.9 მლნ ლარია შემოსული (წინა წელს - 15.5 მლნ ლარი), ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო სანქციებიდან - 15.3 მლნ ლარი (2025 წელს 6.3 მლნ ლარს შეადგენდა).

საკუთრებიდან შემოსავლები 89.9 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 125.7%-ს შეადგენს, რაც რენტის სახით 3.6-ჯერ მეტი შემოსავლის (26.6 მლნ ლარის) მიღებას უკავშირდება და თავის მხრივ, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან ბიუჯეტში 25.2 მლნ ლარის ოდენობით თანხების ჩარიცხვით არის განპირობებული (წინა წელს, ამ მიმართულებით ბიუჯეტში 5.7 მლნ ლარი ჩაირიცხა). პროცენტის მუხლით 63.3 მლნ ლარია მიღებული, 3 თვის გეგმის 98.9%. (მ.შ. დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 48.0 მლნ ლარს უტოლდება), ხოლო რაც შეეხება დივიდენდებს, 3 თვის გეგმით, აღნიშნული შემოსავლების მიღება გათვალისწინებული არ არის.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან იანვარ-მარტში, ბიუჯეტში, 21.5 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 66.4%) ჩაირიცხა. ძირითადი შემოსავალი (20.6 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულია ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით. მ.შ. სანებართვო მოსაკრებლები 10.8 მლნ ლარს შეადგენს (აქედან, 10.2 მლნ ლარი შემოსულია სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვიდან) და სახელმწიფო ბაჟი - 7.5 მლნ ლარს (აღნიშნული შემოსავლის 99.8% სასამართლოებში განსახილველი საქმეებიდან არის მიღებული).

სხვა შემოსავლები 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 62.2 მლნ ლარით (29.3%-ით) აღემატება, რაც (როგორც 3 თვის გეგმის მაჩვენებლებზე გადაჭარბების შემთხვევაში), გაზრდილი ოდენობით, არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან, სანქციებიდან, (ჯარიმებიდან, საურავებიდან), აგრეთვე, საკუთრებიდან (რენტის სახით) მიღებულ შემოსავლებს უკავშირდება.

დიაგრამა 13. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 3 თვის გეგმის მიმართ, 63.9%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 65.6 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 32.8%), რაც დიდწილად, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან, 50.0 მლნ ლარის ოდენობით, გეგმაზე 2-ჯერ მეტი შემოსულობის მიღებას უკავშირდება. არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან კი 15.5 მლნ ლარია შემოსული (3 თვის გეგმის 103.6%), მ.შ. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან 12.7 მლნ ლარია მიღებული (3 თვის გეგმის 140.8%), ხოლო მიწის რეალიზაციიდან - 2.9 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 47.8%).

2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 5.1 მლნ ლარით (7.2%-ით) შემცირებულია, ერთი მხრივ, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების ზრდისა და მეორე მხრივ, არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების შემცირების გავლენით.

2025 წლის 3 თვის მაჩვენებლებთან შედარებით, მიმდინარე წელს, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან 17.6 მლნ ლარით მეტია მიღებული. მ.შ. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 46.3 მლნ ლარია შემოსული (2025 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 31.1 მლნ ლარს შეადგენდა). არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან კი მიღებულია 22.7 მლნ ლარით (2.5-ჯერ) ნაკლები. კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულია 13.4 მლნ ლარით და მიწის გაყიდვიდან - 9.3 მლნ ლარით ნაკლები (მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეალიზაციიდან, 2026 წლის 3 თვეში, 2.1 მლნ ლარია მიღებული, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 0.6 მლნ ლარი, 2025 წელს კი ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 11.4 მლნ ლარს და 0.1 მლნ ლარს შეადგენდა).


დიაგრამა 14. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



## ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) მიღებული შემოსულობები, 75.3 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 115.8%-ს შეადგენს (წლიური გეგმის 15.1%), წინა წლის მაჩვენებელზე კი 69.2 მლნ ლარით (47.9%-ით) ნაკლებია.

დიაგრამა 15. ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



## ვალდებულებების ზრდა

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 3 თვეში, ბიუჯეტში 1,681.2 მლნ ლარი ჩაირიცხა, რაც 3 თვის გეგმის 95.4%-ია (წლიური გეგმის 33.2%), ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 945.5 მლნ ლარით (128.5%-ით) აღემატება, ერთი მხრივ, საგარეო წყაროდან მიღებული სახსრების მატებისა (2021 წელს გამოშვებული ევრობლიგაციების რეფინანსირებისთვის<sup>[4]</sup> ვალდებულებების ზრდის შედეგად) და მეორე მხრივ, საშინაო ვალდებულებების კომპონენტის (ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად ვალდებულებების წმინდა ზრდა) შემცირების გავლენით.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების უმეტესი ნაწილი, 87.5% (1,470.5 მლნ ლარი), საგარეო წყაროდან არის შემოსული, მ.შ. საინვესტიციო კრედიტების სახით 138.6 მლნ ლარია ჩარიცხული, რაც 3 თვის გეგმის 76.3%-ს უტოლდება (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები 3 თვის გეგმით გათვალისწინებული არ არის), ხოლო 2026 წელს დასაფარი ევრობონდების რეფინანსირების მიზნით, ახალი ევრობონდების გამოშვებით საგარეო ვალდებულებების აღების შედეგად, ბიუჯეტში მიღებულია 1,331.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 98.7%).

ცხრილი 5. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 2025-2026 წწ. 3 თვეში (მლნ ლარი, %).


	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>735.7</b>	<b>5,063.1</b>	<b>1,762.7</b>	<b>1,681.2</b>	<b>95.4%</b>	<b>33.2%</b>	<b>128.5%</b>
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	210.6	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,470.5	96.0%	45.1%	1097.5%
ევრობონდები	0.0	1,350.0	1,350.0	1,331.9	98.7%	98.7%	
საბიუჯეტო კრედიტები	0.0	640.0	0.0	0.0		0.0%	
საინვესტიციო კრედიტები	122.8	1,273.1	181.7	138.6	76.3%	10.9%	12.9%

[4] ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2026 წლის იანვარში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სახელით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე 500.0 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების, 5 წლიანი ვადიანობის მქონე ევრობლიგაციები განათავსა. კუპონის განაკვეთმა 5.125% შეადგინა (რაც 2022 წლის შემდეგ, უმცირესია არასაინვესტიციო რეიტინგის მქონე ევრობლიგაციებზე დაფიქსირებულ კუპონის განაკვეთებს შორის). გამოშვებული ევრობლიგაციების ნაწილი (393.5 მლნ აშშ დოლარი) 2021 წელს გამოშვებულ ევრობლიგაციებში გაიცვალა, ხოლო 2021 წელს გამოშვებული ევრობლიგაციების დარჩენილი ნაწილის - 106.5 მლნ აშშ დოლარის მოცულობის დაფარვა 2026 წლის აპრილში განხორციელდა.

საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობებს რაც შეეხება, საანგარიშო პერიოდში, სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით საშინაო ვალის ზრდამ<sup>[5]</sup> 732.8 მლნ ლარი, ხოლო კლებამ 522.2 მლნ ლარი შეადგინა, შედეგად, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა 210.6 მლნ ლარს გაუტოლდა (3 თვის გეგმის 91.2%).


2026 წლის 3 თვეში, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა, 2017-2025 წლების ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, მომატებულია (პანდემიის პერიოდის, 2020-2022 წლების მაჩვენებლებთან შედარებითაც კი), რაც საგარეო წყაროდან შემოსულობების ზრდით არის განპირობებული.

დიაგრამა 16. საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



რაც შეეხება საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2026 წლის საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული შემოსულობები, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (1,347.7 მლნ ლარით) გაზრდილია, ძირითადად, 2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირებისთვის ვალდებულებების ზრდის შედეგად (საინვესტიციო კრედიტებიც, აგრეთვე, 15.8 მლნ ლარით მომატებულია).

დიაგრამა 17. საგარეო ვალდებულებების ზრდით შემოსულობები, კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).




[5] 2026 წლის 3 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 18 გამოშვების და 3 გაცვლის აუქციონი (შესაბამისად, 760.0 მლნ ლარის და 222.2 მლნ ლარის ნომინალური მოცულობებით) სულ გამოშვებულ იქნა 982.2 მლნ ლარის სახაზინო ფასიანი ქაღალდები.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია 30,881.4 მლნ ლარის ოდენობით. 2026 წლის 3 თვეში ბიუჯეტიდან განუული გადასახდელები 7,238.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 23.4%-ს და 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების (7,903.2 მლნ ლარი) 91.6%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 13.2%-ით (844.3 მლნ ლარით) აღემატება.

2017-2026 წლებში, 3 თვის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ნომინალურ გამოხატულებაში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 3 თვის გადასახდელების წილობრივი მარჯვენებელი წლიურ ფაქტობრივ მოცულობაში, 2017-2025 წლებში, 19.8%-სა და 23.1%-ს შორის მერყეობს, 2026 წელს კი, 3 თვეში განუული გადასახდელები წლიური საგეგმო მარჯვენებლის 23.4%-ს შეადგენს.

დიაგრამა 18. 2017-2026 წლების 3 თვის გადასახდელები და მათი წილი წლიურ მარჯვენებლებში (მლნ ლარი, %).




ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, 2026 წლის 3 თვეში. როგორც ცხრილშია ასახული, ხარჯები, 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 92.6%-ს შეადგენს. 3 თვის, როგორც დამტკიცებულ, ისე დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება დაბალი დონით გამოირჩევა (შესაბამისად, 74.7% და 74.2%), ასევე, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი 3 თვის როგორც დამტკიცებულ ისე დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით, დაბალი მარჯვენებით ხასიათდება 53.9% და 57.5% შესაბამისად. 3 თვის დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით, შესრულების კარგი მარჯვენებელი აქვს ვალდებულებების კლების კომპონენტს და მათ 97.8%-ს შეადგენს.

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2026 წლის 3 თვეში (მლნ ლარი, %).

დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაზუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის დაზუსტ. გეგმის შესრულების %	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>გადასახდელები</b>	<b>30,881.4</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,238.2</b>	<b>91.6%</b>	<b>91.6%</b>	<b>23.4%</b>
ხარჯები	23,267.6	5,712.4	5,713.0	5,292.2	92.6%	92.6%	22.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,044.0	702.3	706.7	524.4	74.2%	74.7%	13.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	650.0	78.7	73.7	42.4	57.5%	53.9%	6.5%
ვალდებულებების კლება	2,919.8	1,409.8	1,409.8	1,379.2	97.8%	97.8%	47.2%


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, 2017-2026 წლების 3 თვეში, შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.

დიაგრამა 19. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითისათვის, 2018-2026 წლების 3 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი, ყოველწლიურად, საშუალოდ 12.8%-ით იზრდება, რაც ძირითადად, გამოწვეულია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის (აგრეთვე, ვალდებულებების კლების) მუხლებით გადასახდელების მატებით, თუმცა თუ განვიხილავთ გადასახდელების ძირითადი კომპონენტების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის, წილობრივ მაჩვენებლებს მთლიან გადასახდელებში, 2017-2024 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი, ხარჯების შემთხვევაში - კლების, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შემთხვევაში - ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2025 წლის 3 თვეში ხარჯების წილობრივი მაჩვენებელი 82.2%-მდე გაიზარდა, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 10.5%-მდე შემცირდა. 2026 წლის 3 თვეში, 2025 წლის 3 თვესთან შედარებით, ხარჯების წილობრივი მაჩვენებელი 73.1%-მდე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 7.2%-მდე შემცირდა, ვალდებულებების კლების კომპონენტის წილობრივი მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდის (2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დაფარვის მიზნით) გავლენით. ამასთან, აღსანიშნავია რომ, 2017-2026 წლების საანგარიშო პერიოდში, გადასახდელების მთლიან მოცულობაში, ხარჯების წილის საშუალო მაჩვენებელი 79.6%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილის საშუალო მაჩვენებელი 10.9%-ს შეადგენს.

დიაგრამა 20. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2017-2026 წლების 3 თვეში (%).



რაც შეეხება 2024-2026 წლებში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყოველთვიურად, გაწეული გადასახდელების საშუალო მარჯვენებელთა შედარებას, 2024 წლის 3 თვეში, გადასახდელების საშუალო ყოველთვიური მარჯვენებელი 1,917.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო 2025 წლის ანალოგიური მარჯვენებელი - 2,131.3 მლნ ლარს, 2026 წლის იანვარ-მარტში საშუალო ყოველთვიური მარჯვენებელი კი 2,412.7 მლნ ლარს უტოლდება, რაც 2024 წლის შესაბამის მარჯვენებელს 25.8%-ით (494.9 მლნ ლარით), ხოლო 2025 წლის მარჯვენებელს - 13.2%-ით (281.4 მლნ ლარით) აღემატება.

დიაგრამა 21. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2024-2026 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, იანვარ-მარტში, მოიცავს დამატებით 3 პროგრამულ კოდს, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 61 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 24) - 23.6 ათასი ლარის ოდენობით;

## ხარჯები


2026 წლის 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტი, **ხარჯები**, (5,292.2 მლნ ლარი) ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

ცხრილი 7. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, 2026 წლის 3 თვეში (მლნ ლარი, %)

დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაზუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის დაზუსტ. გეგმის შესრულების %	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>ხარჯები</b>	<b>23,267.6</b>	<b>5,712.4</b>	<b>5,713.0</b>	<b>5,292.2</b>	<b>92.6%</b>	<b>92.6%</b>	<b>22.7%</b>
შრომის ანაზღაურება	3,420.3	821.0	816.0	775.2	95.0%	94.4%	22.7%
საქონელი და მომსახურება	2,681.5	651.0	639.0	525.4	82.2%	80.7%	19.6%
პროცენტი	1,818.0	598.8	598.9	583.0	97.3%	97.4%	32.1%
სუბსიდიები	1,047.3	267.0	289.5	254.9	88.0%	95.4%	24.3%
გრანტები	2,032.4	344.7	305.1	192.6	63.1%	55.9%	9.5%
სოციალური უზრუნველყოფა	9,324.2	2,334.1	2,355.0	2,329.2	98.9%	99.8%	25.0%
სხვა ხარჯები	2,944.0	695.9	709.6	632.0	89.1%	90.8%	21.5%

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში:


დიაგრამა 22. ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



2026 წლის 3 თვეში, შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები 775.2 მლნ ლარს უტოლდება, რაც 3 თვის დამტკიცებული გეგმის (821.0 მლნ ლარი) 94.4%-ს, 3 თვის დაზუსტებული გეგმის (816.0 მლნ ლარი) 95.0%-ს და წლიური გეგმის (3,420.3 მლნ ლარი) 22.7%-ს შეადგენს, ხოლო 2025 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 89.5 მლნ ლარით აღემატება. შრომის ანაზღაურების ხარჯები, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მომატებულია: კერძოდ, 2018-2025 წლებში, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ხარჯების ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.6%-ს შეადგენს, 2026 წლის 3 თვეში კი 13.0%-ს უტოლდება.

2017-2026 წლების საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შრომის ანაზღაურების წილობრივი მაჩვენებელი, როგორც ხარჯებში, ასევე, გადასახდელებში, ყველაზე დაბალ ნიშნულს 2022 წელს აღწევს, შესაბამისად, 12.6%-ის და 10.2%-ის ოდენობით, 2023 წლიდან კი, აღნიშნული მაჩვენებლები ზრდის ტენდენციას ავლენს და 2026 წლისთვის, ხარჯების 14.6%-ს და გადასახდელების 10.7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 23. 2017-2026 წლების 3 თვეში, შრომის ანაზღაურების ხარჯები და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %).



3 თვეში, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები (525.4 მლნ ლარი), როგორც დაზუსტებული, ასევე, დამტკიცებული გეგმის მიმართ, შედარებით დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა და შესაბამისად, 82.2%-ს და 80.7%-ს შეადგენს, წლიური გეგმის (2,681.5 მლნ ლარი) 19.6%-ია, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემს 4.3 მლნ ლარით აღემატება.

საანგარიშო პერიოდში, საქონლისა და მომსახურების ხარჯები მიიმართა შემდეგი მიმართულებებით:

- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 154.4 მლნ ლარი;
- მივლინება - 10.4 მლნ ლარი;
- ოფისის ხარჯები - 84.5 მლნ ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 4.3 მლნ ლარი;
- კვების ხარჯები - 28.9 მლნ ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 11.1 მლნ ლარი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 3.7 მლნ ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 25.6 მლნ ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 34.8 მლნ ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 167.7 მლნ ლარი.

„პრეცედენტი“ მუხლით გაწეული ხარჯები 583.0 მლნ ლარს უტოლდება, რაც 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 97.4%-ს და 97.3%-ს შეადგენს შესაბამისად, ხოლო წლიური გეგმის (1,818.0 მლნ ლარი) 32.1%-ია. 2025 წლის 3 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 40.4 მლნ ლარით (7.5%-ით) აღემატება. აღნიშნული მუხლიდან, 399.3 მლნ ლარი საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა, ხოლო 183.7 მლნ ლარი - საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე.


სუბსიდიების მუხლით გაწეული ხარჯები (254.9 მლნ ლარი), 3 თვის დამტკიცებული გეგმის 95.4%-ს და დაზუსტებული გეგმის 88.0%-ს შეადგენს, ხოლო წლიური გეგმის 24.3%-ს უტოლდება. წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 0.2 მლნ ლარით აღემატება. სუბსიდიების მუხლიდან, 2026 წლის 3 თვეში, ხარჯი ძირითადად გაიწია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაზე - „ერთიანი აგროპროექტი“ (პროგრამული კოდი - 31 05) – 71.8 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს სპორტის სამინისტროს პროგრამაზე - „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“ (პროგრამული კოდი - 34 02) – 56.2 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამებზე - „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 22.0 მლნ ლარის, „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 7.8 მლნ ლარის და „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 03) – 7.0 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე - „მენარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 22.7 მლნ ლარის და „ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება“ (პროგრამული კოდი - 24 10) – 6.3 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე - „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 25 02) – 9.3 მლნ ლარის და „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 03) – 7.6 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს საპატრიარქოზე (პროგრამული კოდი - 45 00) – 10.4 მლნ ლარის ოდენობით და საქართველოს კულტურის სამინისტროს პროგრამაზე - „კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 33 02) – 21.0 მლნ ლარის ოდენობით.

გრანტების მუხლით გაწეული ხარჯები (192.6 მლნ ლარი), 3 თვის როგორც დამტკიცებული, ისე დაზუსტებული გეგმის მიმართ ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება 55.9%-ს და 63.1%-ს შეადგენს შესაბამისად, ხოლო წლიური გეგმის (2,032.4 მლნ ლარი) 9.5%-ს წარმოადგენს, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს კი 171.7 მლნ ლარით (47.1%-ით) ჩამორჩება. გრანტების მუხლიდან ხარჯი ძირითადად გაიწია: ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე (პროგრამული კოდი - 54 04) - 110.2 მლნ ლარის ოდენობით; სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელზე (პროგრამული კოდი - 42 00) – 25.3 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს პროგრამაზე - “საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა” (პროგრამული კოდი - 35 02) – 14.7 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტებს, 2026 წლის 3 თვეში, გრანტებზე გაწეული ხარჯებიდან (192.6 მლნ ლარი), 112.1 მლნ ლარი მიმდინარე გრანტს წარმოადგენს, ხოლო 80.5 მლნ ლარი - კაპიტალურ გრანტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური გრანტები, 2017-2026 წლების 3 თვეში.


დიაგრამა 24. მიმდინარე და კაპიტალური გრანტები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



ხარჯების მთლიანი მოცულობის თითქმის ნახევარი (44.0%) სოციალური უზრუნველყოფის მუხლებზე მოდის (2,329.2 მლნ ლარი). აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯები, 3 თვის როგორც დამტკიცებული, ისე დაზუსტებული გეგმების მიმართ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება 99.8% და 98.9%-ს შეადგენს შესაბამისად, ხოლო წლიური გეგმის (9,324.2 მლნ ლარი) 25.0%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს კი 175.7 მლნ ლარით (8.2%-ით) აღემატება. სოციალური უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯებიდან, დიდი წილი, 72.5%-ის ოდენობით, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (1,688.8 მლნ ლარი), 20.9%-ის ოდენობით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე (486.1 მლნ ლარი) და აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 5.6%, (130.0 მლნ ლარი) მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია სოციალური უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები და მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებსა და გადასახდელებში, 2017-2026 წლების 3 თვეში.

დიაგრამა 25. 2017-2026 წლების 3 თვეში, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯები და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)




როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, ნომინალურ გამოხატულებაში, 2017-2026 წლების 3 თვეში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2026 წლისთვის აღწევს. მოცემული ხარჯების ზრდის საშუალო მაჩვენებელი, 2018-2025 წლების საანგარიშო პერიოდში, 13.5%-ს შეადგენს, 2026 წელს კი - 8.2%-ს. რაც შეეხება მის წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, 2018-2021 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა (2021 წელს, პანდემიის გავლენით, ყველაზე მაღალ ნიშნულს, შესაბამისად, 37.4%-ს და 47.4%-ს მიაღწია), 2022 წლიდან კლებადი ხასიათი მიიღო და მინიმუმს 2024 წლისთვის მიაღწია. 2025 წელს მისი წილი ისევ გაიზარდა, ხოლო 2026 წლისთვის შესაბამისად, 32.2%-ს და 44.0%-ს უტოლდება.

2026 წლის იანვარ-მარტში, სხვა ხარჯების მუხლიდან გაწეულია 632.0 მლნ ლარი, რაც 3 თვის დამტკიცებული გეგმის 90.8%-ს, დაბუსტებული გეგმის 89.1%-ს და წლიური გეგმის (2,944.0 მლნ ლარი) 21.5%-ს უტოლდება, წინა წლის ანალოგიურ მარტში კი 100.5 მლნ ლარით (13.7%-ით) ჩამორჩება. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მუხლიდან, მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯის დასაფინანსებლად 432.6 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო კაპიტალურ ტრანსფერებზე (რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) - 78.2 მლნ ლარი.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია 2017-2026 წლების 3 თვეში, სხვა ხარჯების მუხლიდან მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებზე გაწეული ხარჯები:

დიაგრამა 26. სხვა ხარჯების მუხლიდან მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებზე გაწეული ხარჯები, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მიმოხილვას თვეების მიხედვით, 2026 წლის 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების საშუალო ყოველთვიური მარჯვენებელი 1,764.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მარჯვენებელს 12.6 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება, ხოლო 2025 წლის საშუალო წლიურ მონაცემს - 140.5 მლნ ლარით (7.4%-ით) ჩამორჩება. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, ხარჯების ყველაზე მაღალი მარჯვენებელი (1,853.6 მლნ ლარის ოდენობით) მარტში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი (1,645.8 მლნ ლარის ოდენობით) - თებერვალში.

დიაგრამა 27. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2025-2026 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



## არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, 3 თვეში, 524.4 მლნ ლარია გაწეული, რაც 3 თვის როგორც დამტკიცებული (702.3 მლნ ლარი), ისე დაზუსტებული (706.7 მლნ ლარი) გეგმის შესრულების დაბალი (შესაბამისად, 74.7% და 74.2%) მაჩვენებლით ხასიათდება, ამასთანავე წლიური გეგმის 13.0%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 148.2 მლნ ლარით (22.0%-ით) ჩამორჩება. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (217.9 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (103.6 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (78.7 მლნ ლარი).


რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის კომპონენტებს, მნიშვნელოვანი, 92.5%-ანი, წილით გამოირჩევა ძირითადი აქტივების ზრდა, რომლის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, გაწეულია 484.9 მლნ ლარი, მატერიალურ მარაგებზე 0.1 მლნ ლარი და არანარმოებულ აქტივებზე 39.4 მლნ ლარი მიიმართა.

დიაგრამა 28. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მიმოხილვას თვეების მიხედვით, 2026 წლის 3 თვეში, აღნიშნული გადასახდელების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი 174.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მაჩვენებელს 49.4 მლნ ლარით (22.0%-ით) ჩამორჩება, ხოლო 2025 წლის საშუალო წლიურ მონაცემზე 80.0 მლნ ლარით (31.4%-ით) ნაკლებია. 2026 წლის 3 თვეში, გაწეული გადასახდელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარტში დაფიქსირდა, 225.7 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 29. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, 2025-2026 წლებში, თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



## ფინანსური აქტივების ზრდა

ფინანსური აქტივების ზრდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (42.4 მლნ ლარი), 3 თვის დამტკიცებული (78.7 მლნ ლარი) და დაზუსტებული (73.7 მლნ ლარი) გეგმების მიმართ დაბალი შესრულებით გამოირჩევა და მათ 53.9%-ს და 57.5%-ს შეადგენს შესაბამისად, ხოლო წლიური გეგმის (650.0 მლნ ლარი) 6.5%-ია. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები მიიმატა:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:

- „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადაამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 16.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 18) - 1.0 მლნ ლარის ოდენობით;

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამაზე:


- „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) – 11.4 მლნ ლარის ოდენობით;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაზე:

- „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 31 16) - 0.5 მლნ ლარის ოდენობით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე, 13.2 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 30. ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, კომპონენტების მიხედვით, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



## ვალდებულებების კლება

ვალდებულებების კლების კომპონენტის მაჩვენებელი (1,379.2 მლნ ლარი) 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 97.8%-ს და წლიური გეგმის 47.2%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების დაფარვასთან (1,059.7 მლნ ლარის ოდენობით), ხოლო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1,044.9 მლნ ლარით აღემატება. (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“). აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი, 99.3% (1,369.1 მლნ ლარის ოდენობით), სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.


ცხრილი 8. ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 2026 წლის 3 თვეში (მლნ ლარი, %)

	3 თვის ფაქტი	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	3 თვის დაზუსტ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>1,379.2</b>	<b>97.8%</b>	<b>97.8%</b>	<b>47.2%</b>
საშინაო	10.1	100.0%	100.0%	25.1%
საგარეო	1,369.1	97.8%	97.8%	47.5%

# ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია<sup>[6]</sup>

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, განსაზღვრულია 27,311.6 მლნ ლარის ოდენობით, 3 თვის დამტკიცებული გეგმით - 6,414.7 მლნ ლარის, ხოლო დაზუსტებული გეგმით - 6,419.7 მლნ ლარის ოდენობით. ფაქტობრივად კი, იანვარ-მარტში, აღნიშნულმა გადასახდელებმა 5,816.6 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის დამტკიცებული გეგმის 90.7%, დაზუსტებული გეგმის 90.6% და წლიური გეგმის 21.3%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.

დიაგრამა 31. 2026 წლის 3 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. (მლნ ლარი, %).




როგორც დიაგრამაზე გამოსახულია, 2026 წლის 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ასიგნებების მოცულობის მიხედვით, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციით, შემდეგი 4 ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: სოციალური დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2017-2026 წლების 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით ფუნქციონალურ ჭრილში:

განსხვავებით 2026 წლისა, 2023-2025 წლების 3 თვეში, ასიგნებების მოცულობის მიხედვით წარმოდგენილი ძირითადი მიმართულებების ოთხეულში შედის ეკონომიკური საქმიანობა, ნაცვლად ჯანმრთელობის დაცვისა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში (მიმართულებების ჩამონათვალში) მე-5-დან მე-7-მდე პოზიციას იკავებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2017-2025 წლების 3 თვეში, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გაწეული გადასახდელების საშუალო მაჩვენებელი 380.8 მლნ ლარს შეადგენს, 2026 წლის 3 თვეში კი, აღნიშნული მიმართულებით 569.7 მლნ ლარია გაწეული.

[6] საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.


დიაგრამა 32. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



2026 წლის 3 თვეში, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეული გადასახდელების (5,816.6 მლნ ლარი) 69.7% ზემოაღნიშნულ 4 ძირითად მიმართულებაზე მოდის (სოციალურ დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება). 2017-2026 წლების საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მიმართულებებზე გაწეული გადასახდელები, ძირითადად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის 4 ძირითად მიმართულებაზე გაწეული გადასახდელები, 2017-2026 წლების 3 თვეში.


დიაგრამა 33. 2017-2026 წლების 3 თვეში, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მიმართულებით გაწეული გადასახდელების დინამიკა, (მლნ ლარი).



# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის გადასახდელებიდან (7,238.2 მლნ ლარი), მხარტავი დაწესებულებებზე 5,015.8 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 2,222.4 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 30.7%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 4,745.4 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 65.6%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 270.4 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავი დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 3.7%).

დიაგრამა 34. 2026 წლის 3 თვეში განეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის 3 თვეში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

ცხრილი 9. 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 3 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაბუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	3 თვის დაბუსტ. გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	30.5	33.1	27.4	21.1%	89.9%	82.8%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	928.6	149.6	149.9	99.2	10.7%	66.3%	66.2%
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,113.7	391.3	410.8	441.7	14.2%	112.9%	107.5%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	443.2	93.7	96.3	82.5	18.6%	88.1%	85.6%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	9,668.6	2,420.2	2,420.2	2,321.2	24.0%	95.9%	95.9%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	225.0	58.3	60.9	55.5	24.7%	95.1%	91.2%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,890.0	549.9	549.9	432.4	22.9%	78.6%	78.6%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,547.0	359.3	359.3	347.2	22.4%	96.6%	96.6%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.2	188.5	188.5	152.1	18.8%	80.7%	80.7%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,702.2	675.1	675.1	624.9	23.1%	92.6%	92.6%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	364.8	88.7	89.7	68.7	18.8%	77.4%	76.5%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	325.3	98.5	98.5	74.6	22.9%	75.7%	75.7%
საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	132.9	33.5	34.4	17.9	13.5%	53.5%	52.2%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 27.4 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (130.0 მლნ ლარი) 21.1%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (30.5 მლნ ლარი) 89.9%-ს და დაზუსტებული გეგმის (33.1 მლნ ლარი) 82.8%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-მარტში გადასახდელების ფაქტობრივი მარჯვენელი აღემატება 2023-2024 წლების ანალოგიურ მარჯვენებლებს, ხოლო ჩამორჩება 2025 წლის მარჯვენებელს.


მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მარჯვენელი 99.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (928.6 მლნ ლარი) 10.7%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (149.6 მლნ ლარი) 66.3%-ს და დაზუსტებული გეგმის (149.9 მლნ ლარი) 66.2%-ს შეადგენს.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (99.2 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მარჯვენებლებზე ნაკლებია, ხოლო 2023 წლის მარჯვენებელს აღემატება.


საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 441.7 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (3,113.7 მლნ ლარი) 14.2%-ს 3 თვის დამტკიცებული გეგმის (391.3 მლნ ლარი) 112.9%-ს და დაზუსტებული გეგმის (410.8 მლნ ლარი) 107.5%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 17.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (132.9 მლნ ლარი) 13.5% 3 თვის დამტკიცებული გეგმის (33.5 მლნ ლარი) 53.5%-ს და დაზუსტებული გეგმის (34.4 მლნ ლარი) 52.2%-ს შეადგენს.


დიაგრამა 37. რეგიონული განვითარების სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



დიაგრამა 35. ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



დიაგრამა 36. ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 82.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (443.2 მლნ ლარი) 18.6%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (93.7 მლნ ლარი) 88.1%-ს და დაზუსტებული გეგმის (96.3 მლნ ლარი) 85.6%-ს უტოლდება.

მიმდინარე წლის იანვარ-მარტში იუსტიციის სამინისტროს გადასახდელები (82.5 მლნ ლარი), 2023 წლის მაჩვენებელს უტოლდება, ხოლო 2024-2025 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია.


2026 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების თითქმის მესამედი (32.1%), 2,321.2 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (9,668.6 მლნ ლარი) 24.0%-ს და 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული (2,420.2 მლნ ლარი) გეგმების 95.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (2,321.2 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-მარტში ათვისებული ასიგნებები 55.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (225.0 მლნ ლარი) 24.7%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (58.3 მლნ ლარი) 95.1%-ს და დაზუსტებული გეგმის (60.9 მლნ ლარი) 91.2%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (55.5 მლნ ლარი), 2023-2025 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


დიაგრამა 38. იუსტიციის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



დიაგრამა 39. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



დიაგრამა 40. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 432.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,890.0 მლნ ლარი) 22.9%-ს, 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული (549.9 მლნ ლარი) გეგმების 78.6%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2026 წლის იანვარ-მარტის გადასახდელები (432.4 მლნ ლარი) 2024-2025 წლების ანალოგიურ მარჯვენებლებს ჩამორჩება, ხოლო 2023 წლის მარჯვენებელს აღემატება.


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2026 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 347.2 მლნ ლარი ათვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,547.0 მლნ ლარი) 22.4%-ს და 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული (359.3 მლნ ლარი) გეგმების 96.6%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 3 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (347.2 მლნ ლარი), 2023-2025 წლების ანალოგიური მარჯვენებლებთან შედარებით, მომატებულია.


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 152.1 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.2 მლნ ლარი) 18.8%-ს, 3 თვის დამტკიცებული და 3 თვის დაზუსტებული გეგმების (188.5 მლნ ლარი) 80.7%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2026 წლის 3 თვის გადასახდელები (152.1 მლნ ლარი), 2023 და 2025 წლების ანალოგიურ მარჯვენებლებთან შედარებით შემცირებულია, ხოლო 2024 წლის მარჯვენებელს აღემატება.


დიაგრამა 41. თავდაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



დიაგრამა 42. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




დიაგრამა 43. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მარჯვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 3 თვის მაჩვენებელი 624.9 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (2,702.2 მლნ ლარი) 23.1%-ს, 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების (675.1 მლნ ლარი) 92.6%-ს შეადგენს.

2026 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (624.9 მლნ ლარი), 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება, ხოლო 2025 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.

დიაგრამა 44. განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)




\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2026 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 68.7 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (364.8 მლნ ლარი) 18.8%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (88.7 მლნ ლარი) 77.4%-ს და დაზუსტებული გეგმის (89.7 მლნ ლარი) 76.5%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 74.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (325.3 მლნ ლარი) 22.9%-ს, 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების (98.5 მლნ ლარი) 75.7%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (143.2 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. ასევე, სპორტის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (74.6 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (73.3 მლნ ლარს), ხოლო კულტურის სამინისტროს 2026 წლის მაჩვენებელი (68.7 მლნ ლარი) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მონაცემს (45.1 მლნ ლარს).

დიაგრამა 45. კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 3 თვის მაჩვენებლები 2023-2026 წლებში (მლნ ლარი)



\*2026 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2026 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.


## საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების დამტკიცებული ჯამური მოცულობა განსაზღვრულია 7,274.1 მლნ ლარის დონეზე, რომელთა შორის ყველაზე მოცულობითია შემდეგი სახის გადასახდელები:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 54 01) – 3,643.0 მლნ ლარის ოდენობით;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 54 02) – 1,090.0 მლნ ლარის ოდენობით;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 54 04) - 742.0 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (პროგრამული კოდი - 54 07) – 760.0 მლნ ლარის ოდენობით;
- დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი - 54 11) - 540.0 მლნ ლარის ოდენობით;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (პროგრამული კოდი - 54 14) – 331.2 მლნ ლარის ოდენობით.


„საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის“ გადასახდელების 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების მაჩვენებლები 1,599.3 მლნ ლარს შეადგენს. 3 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი 1,552.8 მლნ ლარს აღწევს, რაც დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 97.1%-ს და წლიური გეგმის 42.6%-ს უტოლდება. აღნიშნული მიმართულებით გაწეული გადასახდელებიდან, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე 1,369.1 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 183.7 მლნ ლარი. აღნიშნული ზრდა ძირითადად დაკავშირებულია 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების დაფარვასთან (1,059.7 მლნ ლარის ოდენობით).

დიაგრამა 46. საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა და მათი ჯამური წილი გადასახდელებში, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი, %).



„საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის“ გადასახდელების 3 თვის დამტკიცებული გეგმა 409.2 მლნ ლარით, ხოლო დაზუსტებული გეგმა 409.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 409.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების 100.0%-ია, ხოლო წლიური გეგმის 37.6%-ს აღწევს. აღნიშნული მიმართულებით გაწეული გადასახდელებიდან, საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე 10.0 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 399.3 მლნ ლარი.


დიაგრამა 47. საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება და დაფარვა და მათი ჯამური წილი გადასახდელებში 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი, %).



2026 წლის იანვარ-მარტში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გაიწია 35.2 მლნ ლარი, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სრულად მიიმართა ქვეპროგრამაზე - „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 54 04 02)“.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 2017-2026 წლების დამტკიცებული მოცულობების და 3 თვის ათვისების შესახებ ინფორმაცია:

დიაგრამა 48. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 2017-2026 წლების დამტკიცებული მოცულობები და 3 თვეში ათვისებული თანხები (მლნ ლარი)



საანგარიშო პერიოდში დაგრძეებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების მიმართულებით განეული გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 130.0 მლნ ლარი შეადგინა. რაც წლიური გეგმის 24.1%-ს, 3 თვის დამტკიცებული გეგმის (120.0 მლნ ლარი) 108.3%-ს და დაზუსტებული გეგმის (130.0 მლნ ლარი) 100.0%-ს უტოლდება.

2026 წლის 3 თვეში, დონორების მიერ დაფინანსებულმა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებმა 18.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც შემდეგი სახის პროექტებზე მიიმართა:


- „აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW)“ - 1.1 მლნ ლარი;
- „თბილისის მყარი ნარჩენების მართვა“ - 6.0 მლნ ლარი;
- „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა“ - 0.5 მლნ ლარი;
- „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW)“ - 6.3 მლნ ლარი;
- „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ - 1.9 მლნ ლარი;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ - 0.5 მლნ ლარი;
- „თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD)“ - 1.2 მლნ ლარი.
- „ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და შენობების ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან მიახლოება (ბათუმის საბავშვო ბაღები) (KfW)“ - 0.8 მლნ ლარი.

„ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების (პროგრამული კოდი - 54 04)“ ფაქტობრივმა მოცულობამ, 2026 წლის იანვარ-მარტში, 110.2 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის დაბუსტებული გეგმის 80.2%) და „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების“ (პროგრამული კოდი 54 14) – სხვადასხვა პროექტების ფარგლებში გაცემულ კაპიტალურ გრანტებთან ერთად (პირდაპირი ჩარიცხვების გარდა), სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა, ჯამურად, 112.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 79.1 მლნ ლარი სპეციალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 33.2 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს და 0.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ანალიზისას, საინტერესოა საქართველოს მთავრობის სარეზერვო და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდების ფაქტობრივი მაჩვენებლების განხილვა, 2026 წლის 3 თვის მდგომარეობით.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დამტკიცებული ოდენობა განსაზღვრულია 90.0 მლნ ლარის ოდენობით და მსგავსად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა, შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა ღონისძიებებზე იქნა გადანაწილებული. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ფონდიდან ათვისებულ იქნა 6.8 მლნ ლარი, შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში: „სახელმწიფო ფინანსების მართვა“ (პროგრამული კოდი 23 01) – 2.6 მლნ ლარი; „საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა“ (პროგრამული კოდი 28 01 01) – 1.7 მლნ ლარი; „რეგიონების განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (პროგრამული კოდი 35 01) – 0.9 მლნ ლარი; „კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა“ (პროგრამული კოდი 33 01) – 0.7 მლნ ლარი; „სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში“ (პროგრამული კოდი 19 00) – 0.5 მლნ ლარი; „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“ (პროგრამული კოდი 54 04 02) – 0.2 მლნ ლარი; „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ (პროგრამული კოდი 22 00) – 0.2 მლნ ლარი; „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია“ (პროგრამული კოდი 04 00) – 0.1 მლნ ლარი.

დიაგრამა 49. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის, 2017-2026 წლების, დამტკიცებული მოცულობები და 3 თვეში ათვისებული თანხები (მლნ ლარი).



მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მაჩვენებელი 20.0 მლნ ლარით განისაზღვრა. 2026 წლის 3 თვის მდგომარეობით აღნიშნული ფონდიდან სახსრების ათვისება არ მომხდარა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

## ნაშთის ცვლილება


2026 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,465.7 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება (დაგროვება), 566.7 მლნ ლარს გაუტოლდა. შესაბამისად, 2026 წლის 1-ელი აპრილისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მოცულობა 2,032.4 მლნ ლარით განისაზღვრა. კერძოდ:

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 7,757.1 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 7,903.2 მლნ ლარით. შესაბამისად, ნაშთის გამოყენება 146.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ფაქტობრივად, 2026 წლის იანვარ-მარტში შემოსულობების სახით მობილიზებულ იქნა 3 თვის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით 47.9 მლნ ლარით მეტი, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 3 თვის გეგმაზე 665.0 მლნ ლარით ნაკლები შეადგინა. შესაბამისად, ნაცვლად 146.2 მლნ ლარის ოდენობით ნაშთის გამოყენებისა, დაფიქსირდა ნაშთის დაგროვება, 566.7 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, 2017-2026 წლების 3 თვეში:

დიაგრამა 50. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).




## საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2026 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 690.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 231.9 მლნ ლარი. 2017-2026 წლების 3 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის (მთლიანი სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ნომინალურ გამოსახულებაში, 2021 წელს დაფიქსირდა, რაც დაკავშირებულია, როგორც ხარჯების, ისე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გაწეული გადასახდელების ზრდასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, 2017-2026 წლების 3 თვეში:

დიაგრამა 51. სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, 2017-2026 წლების 3 თვეში (მლნ ლარი).



## გამოყენებული მონაცემების წყარო:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს 2017-2026 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვები;

საქართველოს სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია, 2017-2026 წლების იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია, 2025-2026 წლების იანვარ-მარტის საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა*	2026 წლის 3 თვის დაზუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის ფაქტი / დაზუსტ. გეგმა (%)	3 თვის ფაქტი / დამტკ. გეგმა (%)	3 თვის ფაქტი / წლიური გეგმა (%)	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
<b>შემოსულობები</b>	<b>6,651.1</b>	<b>30,759.4</b>	<b>7,757.1</b>	<b>7,757.1</b>	<b>7,804.9</b>	<b>100.6%</b>	<b>100.6%</b>	<b>25.4%</b>	<b>17.3%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>5,700.4</b>	<b>24,996.3</b>	<b>5,889.3</b>	<b>5,889.3</b>	<b>5,982.9</b>	<b>101.6%</b>	<b>101.6%</b>	<b>23.9%</b>	<b>5.0%</b>
გადასახადები	5,428.5	23,200.0	5,567.0	5,567.0	5,593.6	100.5%	100.5%	24.1%	3.0%
საშემოსავლო გადასახადი	1,873.5	8,221.0	2,030.0	2,030.0	2,118.3	104.4%	104.4%	25.8%	13.1%
მოგების გადასახადი	820.9	3,200.0	945.0	945.0	1,007.1	106.6%	106.6%	31.5%	22.7%
დღგ	1,872.8	8,744.0	2,020.0	2,020.0	2,061.3	102.0%	102.0%	23.6%	10.1%
აქციზი	490.5	2,700.0	520.0	520.0	560.0	107.7%	107.7%	20.7%	14.2%
იმპორტის გადასახადი	31.3	150.0	32.0	32.0	37.7	117.9%	117.9%	25.1%	20.4%
სხვა გადასახადები	339.5	185.0	20.0	20.0	-190.9	-954.3%	-954.3%	-103.2%	-156.2%
გრანტები	59.4	346.3	112.4	112.4	114.6	101.9%	101.9%	33.1%	92.8%
სხვა შემოსავლები	212.5	1,450.0	209.9	209.9	274.7	130.9%	130.9%	18.9%	29.3%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>70.6</b>	<b>200.0</b>	<b>40.0</b>	<b>40.0</b>	<b>65.6</b>	<b>163.9%</b>	<b>163.9%</b>	<b>32.8%</b>	<b>-7.2%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>144.4</b>	<b>500.0</b>	<b>65.0</b>	<b>65.0</b>	<b>75.3</b>	<b>115.8%</b>	<b>115.8%</b>	<b>15.1%</b>	<b>-47.9%</b>
<b>გალდებულებების ზრდა</b>	<b>735.7</b>	<b>5,063.1</b>	<b>1,762.7</b>	<b>1,762.7</b>	<b>1,681.2</b>	<b>95.4%</b>	<b>95.4%</b>	<b>33.2%</b>	<b>128.5%</b>
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	231.0	210.6	91.2%	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,531.7	1,470.5	96.0%	96.0%	45.1%	1097.5%
<b>გადასახდელები</b>	<b>6,393.9</b>	<b>30,881.4</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,903.2</b>	<b>7,238.2</b>	<b>91.6%</b>	<b>91.6%</b>	<b>23.4%</b>	<b>13.2%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>5,254.2</b>	<b>23,267.6</b>	<b>5,712.4</b>	<b>5,713.0</b>	<b>5,292.2</b>	<b>92.6%</b>	<b>92.6%</b>	<b>22.7%</b>	<b>0.7%</b>
შრომის ანაზღაურება	685.7	3,420.3	821.0	816.0	775.2	95.0%	94.4%	22.7%	13.0%
საქონელი და მომსახურება	521.0	2,681.5	651.0	639.0	525.4	82.2%	80.7%	19.6%	0.8%
პროცენტი	542.6	1,818.0	598.8	598.9	583.0	97.3%	97.4%	32.1%	7.5%
სუბსიდიები	254.7	1,047.3	267.0	289.5	254.9	88.0%	95.4%	24.3%	0.1%
გრანტები	364.3	2,032.4	344.7	305.1	192.6	63.1%	55.9%	9.5%	-47.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,153.4	9,324.2	2,334.1	2,355.0	2,329.2	98.9%	99.8%	25.0%	8.2%
სხვა ხარჯები	732.4	2,944.0	695.9	709.6	632.0	89.1%	90.8%	21.5%	-13.7%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>672.6</b>	<b>4,044.0</b>	<b>702.3</b>	<b>706.7</b>	<b>524.4</b>	<b>74.2%</b>	<b>74.7%</b>	<b>13.0%</b>	<b>-22.0%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>132.8</b>	<b>650.0</b>	<b>78.7</b>	<b>73.7</b>	<b>42.4</b>	<b>57.5%</b>	<b>53.9%</b>	<b>6.5%</b>	<b>-68.1%</b>
<b>გალდებულებების კლება</b>	<b>334.3</b>	<b>2,919.8</b>	<b>1,409.8</b>	<b>1,409.8</b>	<b>1,379.2</b>	<b>97.8%</b>	<b>97.8%</b>	<b>47.2%</b>	<b>312.6%</b>
საშინაო	10.1	40.1	10.1	10.1	10.1	100.0%	100.0%	25.1%	0.1%
საგარეო	324.2	2,879.7	1,399.7	1,399.7	1,369.1	97.8%	97.8%	47.5%	322.3%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>257.2</b>	<b>-122.0</b>	<b>-146.2</b>	<b>-146.2</b>	<b>566.7</b>				

\* 3 თვის დამტკიცებული გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაზუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის ფაქტი / დაზუსტ. გეგმა(%)	3 თვის ფაქტი / დამტკ. გეგმა (%)	3 თვის ფაქტი/ წლიური გეგმა (%)	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
<b>შემოსავლები</b>	<b>5,700.4</b>	<b>24,996.3</b>	<b>5,889.3</b>	<b>5,889.3</b>	<b>5,982.9</b>	<b>101.6%</b>	<b>101.6%</b>	<b>23.9%</b>	<b>5.0%</b>
გადასახადები	5,428.5	23,200.0	5,567.0	5,567.0	5,593.6	100.5%	100.5%	24.1%	3.0%
გრანტები	59.4	346.3	112.4	112.4	114.6	101.9%	101.9%	33.1%	92.8%
სხვა შემოსავლები	212.5	1,450.0	209.9	209.9	274.7	130.9%	130.9%	18.9%	29.3%
<b>ხარჯები</b>	<b>5,254.2</b>	<b>23,267.6</b>	<b>5,712.4</b>	<b>5,713.0</b>	<b>5,292.2</b>	<b>92.6%</b>	<b>92.6%</b>	<b>22.7%</b>	<b>0.7%</b>
შრომის ანაზღაურება	685.7	3,420.3	821.0	816.0	775.2	95.0%	94.4%	22.7%	13.0%
საქონელი და მომსახურება	521.0	2,681.5	651.0	639.0	525.4	82.2%	80.7%	19.6%	0.8%
პროცენტი	542.6	1,818.0	598.8	598.9	583.0	97.3%	97.4%	32.1%	7.5%
სუბსიდიები	254.7	1,047.3	267.0	289.5	254.9	88.0%	95.4%	24.3%	0.1%
გრანტები	364.3	2,032.4	344.7	305.1	192.6	63.1%	55.9%	9.5%	-47.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,153.4	9,324.2	2,334.1	2,355.0	2,329.2	98.9%	99.8%	25.0%	8.2%
სხვა ხარჯები	732.4	2,944.0	695.9	709.6	632.0	89.1%	90.8%	21.5%	-13.7%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>446.2</b>	<b>1,728.7</b>	<b>176.9</b>	<b>176.4</b>	<b>690.7</b>	<b>391.6%</b>	<b>390.4%</b>	<b>40.0%</b>	<b>54.8%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>601.9</b>	<b>3,844.0</b>	<b>662.3</b>	<b>666.7</b>	<b>458.8</b>	<b>68.8%</b>	<b>69.3%</b>	<b>11.9%</b>	<b>-23.8%</b>
ზრდა	672.6	4,044.0	702.3	706.7	524.4	74.2%	74.7%	13.0%	-22.0%
კლება	70.6	200.0	40.0	40.0	65.6	163.9%	163.9%	32.8%	-7.2%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-155.8</b>	<b>-2,115.3</b>	<b>-485.4</b>	<b>-490.4</b>	<b>231.9</b>	<b>-47.3%</b>	<b>-47.8%</b>	<b>-11.0%</b>	<b>-248.8%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>245.6</b>	<b>28.0</b>	<b>-132.4</b>	<b>-137.4</b>	<b>533.8</b>	<b>-388.4%</b>	<b>-403.1%</b>	<b>1903.7%</b>	<b>117.4%</b>
ზრდა	390.1	650.0	78.7	73.7	609.1	826.4%	773.9%	93.7%	56.2%
ვალუტა და დეპოზიტები	257.2	0.0	0.0	0.0	566.7				120.3%
სესხები	45.7	632.6	78.7	73.7	42.4	57.5%	53.9%	6.7%	-7.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0	0.0			0.0%	-100.0%
<b>კლება</b>	<b>144.4</b>	<b>622.0</b>	<b>211.2</b>	<b>211.2</b>	<b>75.3</b>	<b>35.7%</b>	<b>35.7%</b>	<b>12.1%</b>	<b>-47.9%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	122.0	146.2	146.2	0.0	0.0%	0.0%	0.0%	
სესხები	144.4	500.0	65.0	65.0	75.3	115.8%	115.8%	15.1%	-47.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0				
<b>გაღდებულებების ცვლილება</b>	<b>401.4</b>	<b>2,143.3</b>	<b>352.9</b>	<b>352.9</b>	<b>302.0</b>	<b>85.6%</b>	<b>85.6%</b>	<b>14.1%</b>	<b>-24.8%</b>
ზრდა	735.7	5,063.1	1,762.7	1,762.7	1,681.2	95.4%	95.4%	33.2%	128.5%
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	231.0	210.6	91.2%	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,531.7	1,470.5	96.0%	96.0%	45.1%	1097.5%
<b>კლება</b>	<b>334.3</b>	<b>2,919.8</b>	<b>1,409.8</b>	<b>1,409.8</b>	<b>1,379.2</b>	<b>97.8%</b>	<b>97.8%</b>	<b>47.2%</b>	<b>312.6%</b>
საშინაო	10.1	40.1	10.1	10.1	10.1	100.0%	100.0%	25.1%	0.1%
საგარეო	324.2	2,879.7	1,399.7	1,399.7	1,369.1	97.8%	97.8%	47.5%	322.3%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>				

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაზუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	3 თვის დაზუსტ. გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	30,881.4	7,903.2	7,903.2	7,238.2	23.4%	91.6%	91.6%
01 00	საქართველოს პარლამენტი	91.5	25.1	25.1	16.8	18.4%	67.1%	67.1%
01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახედამხედველო საქმიანობა	35.2	8.9	8.9	6.8	19.4%	76.7%	76.7%
01 02	საპარლამენტო ფრაქციების, საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფებისა და ოლქების დელეგატების ბიუროების საქმიანობა	12.1	3.0	3.0	2.3	19.2%	76.8%	76.8%
01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	44.2	13.2	13.2	7.7	17.3%	58.3%	58.3%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.5	2.9	2.9	2.0	18.8%	68.9%	68.9%
03 00	სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი	0.9	0.2	0.2	0.2	20.0%	76.5%	76.5%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30.0	8.5	8.6	5.9	19.5%	68.8%	67.9%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	40.7	10.5	10.5	5.8	14.2%	55.4%	55.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	46.2	11.5	11.5	9.5	20.6%	83.4%	83.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	35.4	8.7	8.7	7.0	19.9%	81.2%	81.2%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.8	0.5	0.5	0.4	20.1%	68.7%	68.7%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	9.0	2.2	2.2	2.1	23.8%	95.1%	95.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	7.9	2.1	2.1	1.6	20.1%	76.9%	76.9%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	22.3	6.0	6.0	5.7	25.7%	96.3%	96.3%
09 00	საერთო სასამართლოები	180.3	47.3	47.3	40.8	22.6%	86.3%	86.3%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	175.5	45.8	45.8	40.3	23.0%	88.0%	88.0%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.8	1.5	1.5	0.5	10.1%	32.5%	32.5%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	13.0	3.4	3.4	1.9	15.0%	58.2%	58.2%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.4	0.3	21.4%	89.0%	89.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.4	0.4	0.3	19.8%	72.2%	72.2%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბადდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.4	0.4	0.3	21.5%	75.4%	75.4%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.4	0.4	0.4	0.3	21.2%	81.9%	81.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.3	0.3	23.0%	91.3%	91.3%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.3	0.3	0.3	23.4%	88.5%	88.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.3	0.2	20.2%	78.5%	78.5%

კოდი	დასახელება	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის დამტკ. გეგმა	2026 წლის 3 თვის დაბუსტ. გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	3 თვის დამტკ. გეგმის შესრულების %	3 თვის დაბუსტ. გეგმის შესრულების %
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.5	0.3	20.3%	63.6%	63.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.9	0.8	62.0%	243.2%	86.4%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	380.0	81.9	81.9	62.0	16.3%	75.7%	75.7%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	279.1	55.6	55.6	47.4	17.0%	85.2%	85.2%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	66.4	16.8	16.8	9.3	13.9%	55.1%	55.1%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	6.5	2.5	2.5	0.6	9.6%	25.2%	25.2%
20 04	სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფა	28.0	7.0	7.0	4.8	17.1%	68.4%	68.4%
21 00	საქართველოს პროკურატურა	98.7	25.7	25.7	19.3	19.6%	75.2%	75.2%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5.2	1.8	2.1	1.3	25.4%	72.1%	64.4%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	130.0	30.5	33.1	27.4	21.1%	89.9%	82.8%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	35.5	7.7	10.3	8.0	22.6%	103.6%	77.5%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	15.3	0.4	0.4	0.2	1.1%	39.8%	39.8%
